

საავტომობილო საწვავის (ბენზინი, დიზელი) ბაზრის მონიტორინგი ანგარიში

საავტომობილო საწვავის ბაზრის მონიტორინგს კონკურენციის ეროვნული სააგენტო ახორციელებს 2018 წლის 5 ივლისიდან. მონიტორინგის ფარგლებში სააგენტომ 2019-2021 წლებთან დაკავშირებით გამოაქვეყნა ყოველწლიური და ყოველკვარტალური ანგარიშები. შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშის შესასწავლ პერიოდად განსაზღვრულია 2022 წელი (იანვარი-ივლისი).

1. შესაბამისი ბაზრი

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-5 მუხლის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

- ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;
- ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;
- გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

ა) პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.

ავტოგასამართ სადგურებზე ხელმისაწვდომია 3 სახეობის ბენზინი და 2 სახეობის დიზელი. ამასთან, დიზელი და ბენზინის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია პრაქტიკულად ნებისმიერ ავტოგასამართ სადგურზე.

სააგენტოს განხორციელებული აქვს მოკვლევა საავტომობილო საწვავის ბაზარზე¹. აღნიშნული წარმოების ფარგლებში, ბენზინის და დიზელის ტიპის საწვავი განხილულია როგორც ერთი ბაზარი, რასაც განაპირობებს მიმწოდებლის მხრიდან პროდუქტების ურთიერთჩანაცვლებადობა. კერძოდ, ბაზარზე არსებული მოთხოვნიდან გამომდინარე, მიმწოდებელს მარტივად შეუძლია ერთი სახეობის საწვავის მიწოდებიდან გადაერთოს სხვა სახეობის საწვავის მიწოდებაზე, რისთვისაც შესაძლებელია იდენტური გადამზიდი ავტომობილის, რეზერვუარისა თუ საწვავის მარიგებელი სვეტის გამოყენება და რაც არ საჭიროებს მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯს. ლოგისტიკური სიმარტივის მიღმა,

¹ <https://admin.competition.ge/uploads/a87be650e7d64307afda293742f7ad25.pdf>

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ფასწარმოქმნაზე მოქმედებს იდენტური ფაქტორები (ნედლის ნავთობის ფასი, პლატის ფასი, ლარის გაცვლითი კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებით). მომხმარებლის მხრიდან, ბენზინის ყველა სახეობა ურთიერთჩამანაცვლებელია, ისევე როგორც დიზელის ყველა სახეობა. თუმცა, რასაკვირველია, ბენზინი და დიზელი თვისობრივად არ წარმოადგენს მომხმარებლის მხრიდან ურთიერთჩამანაცვლებელ პროდუქტებს, რადგან ბენზინზე მომუშავე ავტომობილის გამართვა შეუძლებელია დიზელი ტიპის საწვავით.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მიმწოდებლის მხრიდან ბენზინი და დიზელი ურთიერთჩამანაცვლებელია, ხოლო მომხმარებლისთვის უზრუნველყოფილია ორივე ტიპის საწვავის ხელმისაწვდომობა ნებისმიერ ავტოგასამართ სადგურზე, ასევე, ამ ბაზართან დაკავშირებით სააგენტოს არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების მიზნით, ბენზინს და დიზელს განიხილავს როგორც ერთ პროდუქციულ ბაზარს.

ბ) გეოგრაფიული საზღვრები

საავტომობილო საწვავის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. გვხვდება ქსელური ავტოგასამართი სადგურები და ქსელური ფასწარმოქმნა. ამასთან, ქვეყნის ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილების ხარჯიც მინიმალურია (1 ლიტრზე 5 თეთრამდე). შესაბამისად, სააგენტო ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრად მიიჩნევს ეროვნულ დონეს.

გ) დროითი ჩარჩო

პროდუქციის მოთხოვნა/მიწოდება არ ხასიათდება სეზონურობით. აქტიური სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს იზრდება მოთხოვნა დიზელის ტიპის საწვავზე, თუმცა აღნიშნული არ ცვლის საერთო სურათს. შესაბამისად, ბაზარს არ გააჩნია კონკრეტული დროითი ჩარჩო.

2. ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასება

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კონკურენტული გარემოს შეფასებისას სააგენტო ითვალისწინებს შემდეგ პარამეტრებს:


- ა) შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტები;
- ბ) შესაბამისი ბაზრის მოცულობა და ეკონომიკურ აგენტებზე წილობრივი გადანაწილება;
- გ) შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის დონე;
- დ) შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერები;
- ე) ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო ძალა;

ვ) დამატებითი პარამეტრები, რომელთა გათვალისწინებას სააგენტო აუცილებლად ჩათვლის კონკრეტული ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე.

2.1. შესაბამისი ბაზრის იმპორტის დონე


2022 წლის იანვარი-ივლისის პერიოდში, ქვეყანაში 40 ეკონომიკური აგენტის მიერ განხორციელდა 810 320 ათასი ლიტრი ბენზინისა და დიზელის იმპორტი. ბაზრის იმპორტის დონის კონცენტრაციის (HHI) ინდექსმა შეადგინა 1547 ერთეული, რაც ზომიერად კონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია.² 3 ყველაზე მსხვილი იმპორტიორი ეკონომიკური აგენტის წილი საერთო იმპორტში შეადგენს 60.88%-ს.

საწვავის ყველაზე დიდი მოცულობის იმპორტი განხორციელდა რუსეთის ფედერაციიდან - 40.8%, რომელსაც მოყვება რუმინეთი - 26.5% და ბულგარეთი - 13.4%:




რაც შეეხება საწვავის იმპორტის დინამიკას მომწოდებელი ქვეყნების მიხედვით - ბაზარზე მზარდია რუსეთის ფედერაციიდან იმპორტირებული საწვავის პროცენტული წილი:

² სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით: ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის საფუძველზე, სასაქონლო ბაზრები კონცენტრაციის დონეების მიხედვით ფასდება - დაბალკონცენტრირებულ, ზომიერად კონცენტრირებულ და მაღალკონცენტრირებულ სასაქონლო ბაზრებად: ა) დაბალკონცენტრირებული - HHI<1250; ბ) ზომიერად კონცენტრირებული - 1250<HHI<2250; გ) მაღალკონცენტრირებული - HHI>2250.



შესასწავლ პერიოდში, საერთო იმპორტის 43.9% შეადგინა დიზელის ტიპის საწვავმა, ხოლო 56.1% - ბენზინის. ბენზინის ტიპის საწვავიდან, ყველაზე მოთხოვნად სახეობას წარმოადგენდა რეგულარის მარკის საწვავი - საერთო იმპორტის 34.7%:




2.2. შესაბამისი ბაზრის საცალო დონე



2022 წლის იანვარი-ივლისის პერიოდი გამოირჩეოდა გლობალურ ბაზრებზე ნავთობის ფასის ზრდის ტრენდით. ფასის მაქსიმალური ნიშნული დაფიქსირდა 8 მარტს - 128USD, რის შემდეგაც, ივნისის თვის ჩათვლით პერიოდში ფასი მერყეობდა 100-120USD-ს ფარგლებში, ხოლო 6 აგვისტოს მდგომარეობით შეადგინა 94.92USD - ნედლის ნავთობის ფასი პრაქტიკულად დაუბრუნდა 2022 წლის თებერვლის პირველი ნახევრის მაჩვენებელს. რაც შეეხება ლარის გაცვლით კურსს, ამერიკულ დოლართან მიმართებით ლარის გაუფასურების პიკური მაჩვენებელი დაფიქსირდა 10 მარტს, რის შემდეგაც დღემდე შენარჩუნებულია გამყარების ტენდენცია. 2022 წლის იანვრის თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტა ამერიკულ დოლართან გამყარებულია 36 პუნქტით - 11.7%-ით.

განსახილველ პერიოდში, როგორც ლარის კურსის, ასევე ნავთობის ფასის მკვეთრი ცვლილებებისა და ზოგადი ტურბულენტობის გათვალისწინებით, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს, საცალო ფასებზე მსჯელობის ნაწილში გამოიყენოს ქვეყანაში მოქმედი მსხვილი ეკონომიკური აგენტების მიერ ფაქტიურად იმპორტირებული საწვავის ფასი. ფაქტიურად იმპორტირებული საწვავის თვითღირებულებასთან ერთად, მნიშვნელოვანია საცალო ფასის მაკომპლექტებელი სხვა ფაქტორები, კერძოდ გადასახადები - დღგ, აქციზი და საოპერაციო დანახარჯები. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ივნისი-ივლისის პერიოდში ქვეყანაში იმპორტირებული საწვავის 85-90% მოდის 2 ქვეყანაზე - რუსეთის ფედერაცია და რუმინეთი:


გრაფიკი 4³




³ ევრო რეგულარის და რეგულარის მარკის საწვავს შორის განსხვავება საცალო ფასში შეადგენს 0.2 ლარს 1 ლიტრზე, შესაბამისად, რეგულარის მარკის საწვავის შემთხვევაში იგულისხმება 0.2 ლარით ნაკლები ფასნამატი 1 ლიტრ საწვავზე.




საცალო ფასი და შემადგენელი კომპონენტები, რეგულარი - რუმინეთი



საცალო ფასი და შემადგენელი კომპონენტები, დიზელი - რუმინეთი






წარმოდგენილი გრაფიკებით დგინდება, რომ რუსეთის ფედერაციიდან იმპორტირებული რეგულარის, პრემიუმის და დიზელის ტიპის საწვავი გამოირჩევა მნიშვნელოვნად დაბალი თვითღირებულებით რუმინეთიდან იმპორტირებულ საწვავთან შედარებით, თუმცა მსხვილი კომპანიების შემთხვევაში, საცალო ფასი განსაზღვრულია ევროპის ქვეყნებიდან იმპორტირებული საწვავის მსგავს ნიშნულზე. თვითღირებულებაში სხვაობა შეადგენს საშუალოდ 20-70 თეთრს 1 ლიტრ საწვავზე.


რაც შეეხება ევროპის ქვეყნებიდან, კონკრეტულად კი რუმინეთიდან იმპორტირებულ საწვავს, გარდა პირდაპირი იმპორტისა, საქონლის მოთავსება შესაძლებელია საბაჟო საწყობში დროებითი შენახვის რეჟიმში, რა დროსაც საქონელი არ არის მოქცეული თავისუფალი მიმოქცევის რეჟიმში და არ არის გადახდილი საბაჟო გადასახადები - დღგ და აქციზი. საქონლის ქვეყანაში შემომტან კომპანიას, შეუძლია პროდუქციის რეალიზება მოახდინოს უშუალოდ საბაჟო საწყობიდან და შემდგომში მიერ მოხდეს საქონლის მოქცევა კონკრეტულ - იმპორტის პროცედურაში. აღნიშნულ პრაქტიკას ხშირად აქვს ადგილი რუმინეთიდან იმპორტირებული საწვავის შემთხვევაში და ხასიათდება კონკრეტული სპეციფიკით, კერძოდ, რუმინეთიდან საწვავის იმპორტს ახორციელებს მხოლოდ 1 ეკონომიკური აგენტი, რომელიც საცალო ქსელში პროდუქციის გატანის მიზნებისთვის იმპორტის პროცედურაში ძირითადად აქცევს (ან/და ახორციელებს პირდაპირ იმპორტს) მაღალი თვითღირებულების მქონე საქონელს, ხოლო საბაჟო საწყობიდან ქვეყანაში მოქმედ სხვა ეკონომიკურ აგენტებზე საბითუმოდ ახორციელებს იმ მარაგის რეალიზაციას, რომელიც გამოირჩევა დაბალი

თვითღირებულებით (მსგავსი სხვაობა 2022 წლის მარტი-ივნისის პერიოდში, 1 ლიტრი საწვავის დონეზე შეადგენდა საშუალოდ 30-75 თეთრს):

გრაფიკი 10




გრაფიკი 11



საგალო ფასის ცვლილების ნაწილში, მნიშვნელოვანია ფასის ცვლილების შედარებითი ანალიზი საწვავის ძირითად მომწოდებელ ქვეყნებში (გრაფიკი 12). საქართველოს მსგავსად, ბულგარეთსა და რუმინეთში, 1 ლიტრი საწვავის ფასი იანვარი-მარტის პერიოდში საშუალოდ 20-26 ცენტით გაიზარდა. თუმცა, საქართველოსგან განსხვავებით, აპრილის თვეში, შეინიშნება

ფასის დაახლოებით 6-8 ცენტიანი შემცირება. მაისის თვეში რუმინეთის და ბულგარეთის შემთხვევაში ფიქსირდება ფასის 13-14 ცენტიანი ზრდა - საქართველოს შემთხვევაში ფასი ამერიკულ დოლარში არ შეცვლილა.⁴⁵ ივლისის თვეში ბულგარეთსა და რუმინეთში ფასი შემცირდა 7-8 ცენტით, ხოლო საქართველოში გაიზარდა 11 ცენტით:⁴⁶

გრაფიკი 12




შესაბამისი ბაზრის საცალო დონეზე, მსხვილ კომპანიებსა და მცირე ქსელებს შორის, პროცენტული განაწილება ბოლო წლების განმავლობაში მეტ-ნაკლებად სტაბილურია. წილის სტაბილურობა (გრაფიკი 9) გარკვეულწილად მიანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ მსხვილი კომპანიები ჩამოყალიბებული არიან, როგორც ბაზრის კონკრეტული, მაღალი საფასო კატეგორიის სეგმენტი:


⁴ იმპორტის მიზნით საწვავის შეძენის ძირითად ვალუტას წარმოადგენს ამერიკული დოლარი და პლატის ფასიც დგინდება ამავე ვალუტაში, საცალო ფასები დაკონვერტირებულია აშშ დოლარში. ამასთან, ბულგარეთის, რუმინეთის და რუსეთის შემთხვევაში მოცემულია თვის საშუალო ფასი, ხოლო საქართველოს შემთხვევაში - ფასის ასახვის დროითი შუალედის გათვალისწინებით მსხვილი კომპანიების თვის ბოლოს არსებული საშუალო ფასი.



⁵ მაისის თვეში საქართველოში ფასი შემცირდა ეროვნულ ვალუტაში, თუმცა ლარის გამყარების ფაქტორის გათვალისწინებით, ფასი ამერიკულ დოლარში პრაქტიკულად იგივეა.

⁶ ივლისის თვეში ამერიკულ დოლარში ფასის ზრდა გამოწვეული ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებით.



საავტომობილო საწვავი წარმოადგენს ჰომოგენურ პროდუქტს, ბაზარზე მოქმედი ყველა ეკონომიკური აგენტისთვის ფასწარმოქმნაზე მოქმედებს მსგავსი ფაქტორები. მიუხედავად ამისა, მსხვილ კომპანიებსა და მცირე ქსელებს შორის საცალო ფასწარმოქმნის კუთხით არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავება, კერძოდ, ერთი და იმავე ტიპის საწვავზე ფასი შესაძლოა განსხვავებული იყოს 30-60 თეთრით 1 ლიტრზე და ამავდროულად განსხვავებულია ფასის ცვლილების დროითი შუალედები:





ის ფაქტი, რომ ბაზარზე ხელმისაწვდომია მსგავსი და რიგ შემთხვევებში იდენტური საწვავი გაცილებით დაბალ ფასად, მომხმარებლისთვის დამატებით ბენეფიტს წარმოადგენს, თუმცა არა მათი უმრავლესობისთვის. სხვაობა მსხვილ ქსელებსა და მცირე ქსელების სეგმენტს შორის, უშუალოდ საწვავის მიმართულებით, შესაძლოა იყოს რამდენიმე (არა აუცილებლად), კერძოდ: მსხვილ ქსელებში ხელმისაწვდომი საწვავი შესაძლოა შეიცავდეს კონკრეტულ დანამატებს, რასაც მათივე ინფორმაციით დადებითი ეფექტი გააჩნია საწვავის მოხმარებაზე, წარმადობის ზრდაზე, ეკოლოგიაზე და ა.შ. „ბრენდირებული“ და „არაბრენდირებული“

ავტოგასამართი სადგურები მიღებულ პრაქტიკას წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნებში, თუმცა, საქართველოს შემთხვევაში, მაღალია სხვაობა ფასებს შორის. მაგალითად, აშშ-ში „ბრენდირებულ“ და „არაბრენდირებულ“ ავტოგასამართ სადგურებს შორის საფასო სხვაობა მერყეობს 5-15 ცენტის ფარგლებში 1 გალონ საწვავზე, რაც შეადგენს 4-12 თეთრს 1 ლიტრზე, ხოლო საქართველოს შემთხვევაში სხვაობა შეადგენს საშუალოდ 30-60 თეთრს 1 ლიტრზე.

მონიტორინგის ანგარიშის ძირითადი მიგნებები:

1. ქვეყანაში იმპორტირებული საწვავის 40% ევროპულია, 60%-ის იმპორტი კი ხორციელდება რუსეთის ფედერაციიდან, აზერბაიჯანიდან და თურქმენეთიდან (გრაფიკი 1);
2. აპრილი-ივლისის პერიოდში, მზარდია რუსეთი ფედერაციიდან იმპორტირებული საწვავის მოცულობა საერთო იმპორტში - საერთო იმპორტის 64-65%;
3. საავტომობილო საწვავის ბაზრის იმპორტის დონე, 2022 წლის იანვარი-ივლისის პერიოდში, ზომიერად კონცენტრირებულია. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი შეადგენს 1547 ერთეულს;
4. 3 ყველაზე მსხვილი იმპორტიორი ეკონომიკური აგენტის წილი საერთო იმპორტში შეადგენს 60.88%-ს;
5. ნედლის ნავთობის ფასი პრაქტიკულად დაუბრუნდა 2022 წლის თებერვლის პირველი ნახევრის მაჩვენებელს. რაც შეეხება ლარის გაცვლით კურსს, 2022 წლის იანვრის თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტა ამერიკულ დოლართან გამყარებულია 36 პუნქტით - 11.7%-ით.
6. საცალო ფასები 2022 წლის იანვარი-ივლისის პერიოდში, ზრდის ტრენდს ატარებდა საქართველოსთვის საწვავის მომწოდებელ ძირითად ქვეყნებში - ბულგარეთი, რუმინეთი, ხოლო ივლისის თვეში შემცირდა 7-8 ცენტით, რაც შეეხება საქართველოს - ივლისის თვეში ფიქსირდება ფასის 11 ცენტისანი ზრდა;
7. საცალო ფასის მაკომპლექტებელი ფაქტორების ანალიზის შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ რუსეთის ფედერაციიდან იმპორტირებული საწვავის თვითღირებულება საშუალოდ 30-70 თეთრით დაბალია ევროპის ქვეყნებიდან იმპორტირებულ საწვავთან შედარებით (მარტი-ივლისი), თუმცა საცალო ბაზარზე მსხვილი კომპანიების შემთხვევაში ხელმისაწვდომია ევროპული საწვავის იდენტურ ფასად (გრაფიკი 4-9);
8. რუმინეთიდან იმპორტირებული საწვავი, ხშირ შემთხვევაში, ექცევა საბაჟო საწყოში და შესაბამისად დროებითი შენახვის რეჟიმში. საბაჟო საწყოშიდან კონკრეტული ეკონომიკური აგენტის მიერ საკუთარ საცალო სარეალიზაციო ქსელში ძირითადად ხდება მაღალი თვითღირებულების მქონე საწვავის გატანა, ხოლო დაბალი თვითღირებულების მქონე საწვავის შემთხვევაში ხორციელდება საბითუმო გადაყიდვა სხვა კომპანიაზე, რომელსაც უკვე თავად გააქვს საწვავი ქვეყანაში თავისუფალი მიმოქცევის რეჟიმში. მსგავსი სხვაობა 2022 წლის მარტი-ივლისის პერიოდში, 1 ლიტრი საწვავის დონეზე შეადგენდა საშუალოდ 30-70 თეთრს.